ბინათმესაკუთრეთა
ამხანაგობა „თიანეთის ქ. 8“ კრების
ოქმი №9

ქ. თბილისი 04 დეკემბერი 2016 წ.

ამხანაგობა: „თიანეთის ქ. 8“, მისამართი: ქ. თბილისი თიანეთის ქ. №8

კრებას ესწრება ამხანაგობის წევრთა 2/3-ზე მეტი წევრი.

კრებას თავმჯდომარეობდა: ბესარიონ არველაძე (პ/ნ 01019003954)

დღის წესრიგი:

კრების თავმჯდომარემ, ბ.მ.ა. „თიანეთის ქ. 8“-ს ამხანაგობის წევრებს მოახსენა, რომ კორპუსის მე-2 სართულის მაცხოვრებლების აივნებზე, რომლებიც არ არის გადახურული და განლაგებულია კორპუსის მთელს პერიმეტრზე, ხდება როგორც ზედა სართულებიდან გადმოვარდნილი ნივთების, ისე ქარის და წვიმის შედეგად წარმოქმნილი ნაგავის დაგროვება. რაც საშიშია როგორც გადმოვარდნილი ნივთებისგან ტრამვის მიღების მხრივ, ისე სახანძრო და ბინებში წყალის შევარდნის თვალსაზრისითაც.

ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო, საჭიროა მოეწყოს აივნების გადახურვა, რაც დაიცავს უბედური შემთხვევებისგან მეორე სართულზე მცხოვრებ ამხანაგობის წევრებს.

მოისმინეს ამხანაგობის წევრების ინფორმაცია:

ირაკლი ჯოლოხავამ და რამაზი შუბითიძემ აღნიშნეს, რომ საჭიროა მოეწყოს აივნების გადახურვა, რაც დაიცავს უბედური შემთხვევებისგან მეორე სართულზე მცხოვრებ ამხანაგობის წევრებს.

ამხანაგობის კრებამ დაადგინა:

ამხანაგობა თანახმაა მოეწყოს აივნების გადახურვა, წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით, რაც დაიცავს უბედური შემთხვევებისგან მეორე სართულზე მცხოვრებ ამხანაგობის წევრებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ, ამხანაგობის კრების მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამხანაგობის დამსწრე წევრების მიერ ერთხმად.

კრების თავჯდომარე: ბესარიონ არველაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N161432844
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.12.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მზია შვანგირაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქუჩა #50/1ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 30 52 28, 591515551
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	95953346152716

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას თექვსმეტი წლის ჩვიდმეტი დეკემბერი, მე, საქართველოს ნოტარიუსს მზია შვანგირაძეს, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქ. №50/1ა, მომმართა: გესარიონ არველაძემ მან წარმოადგინა ბ.მ.ა „თიანეთის ქ. 8" კრების ოქმი №9 და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა, წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე გესარიონ არველაძემ (დაბ 06.10.1972 წ. თბილისში, პ№ 01019003954 მცხ. თბილისი, რკინიგზის ქ. 16) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს ბ.მ.ა „თიანეთის ქ. 8" კრების ოქმი №9 მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. შემდეგ გესარიონ არველაძემ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წარმოდგენილ განცხადებას, ერთ ეგზემპლიარზე შესრულებული ერთი ხელმოწერა.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური: (2.00) ორი ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა. 2.00 (ორი) ლარი (დდგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა. სულ (4.00) ოთხი ლარი.

ნოტარიუსი: / მ. შვანგირაძე /

